# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 197

„ 23 ” ივლისი 2019 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას შორის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვას დაქვემდებარებული ხელოვნური ტყეების ბუნებრივ ტყეებად გარდაქმნის მიზნით გრანტის ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-100 მუხლის მე-5, მე-7 პუნქტებისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას შორის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვას დაქვემდებარებული ხელოვნური ტყეების ბუნებრივ ტყეებად გარდაქმნის მიზნით გრანტის ხელშეკრულების გაფორმებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 10 ივლისის №19.754.999 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას შორის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვას დაქვემდებარებული ხელოვნური ტყეების ბუნებრივ ტყეებად გარდაქმნის განხორციელების მიზნით გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულების ფარგლებში **159,400 (ას ორმოცდაცხრამეტი ათას ოთხასი)** ლარის ოდენობით გრანტის მიღების თაობაზე.

2. განკარგულება, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე